

საბჭოს ერთობლივი მოქმედება 2008/736/CFSP, 2008 წლის 15 სექტემბერი, საქართველოში ევროპის კავშირის მონიტორინგის მისიის შესახებ

ევროპის კავშირის საბჭო,
ითვალისწინებს ევროპის კავშირის ხელშეკრულებას, განსაკუთრებით მის მე-14 მუხლსა და 25-ე მუხლის მესამე პუნქტს,

ვინაიდან:

(1) 2008 წლის 1 სექტემბერს, ევროპულმა საბჭომ გამოხატა ღრმა წუხილი საქართველოში განვითარებული ღია კონფლიქტის გამო და ევროკავშირის სახელით გამოთქვა მზადყოფნა მხარი დაეჭირა ნებისმიერი ძალისხმევისთვის, რომელიც მიმართული იქნებოდა კონფლიქტის მშვიდობიანი და მდგრადი გადაწყვეტისკენ.

(2) ევროპულმა საბჭომ მიუთითა, რომ საქართველოში კონფლიქტის მშვიდობიანი და მდგრადი დარეგულირება უნდა ეფუძნებოდეს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემას, როგორც ეს საერთაშორისო სამართლით, ეუთოს ჰელსინკის კონფერენციის საბოლოო დოკუმენტით და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებითაა აღიარებული.

(3) 2008 წლის 12 აგვისტოს ევროკავშირის მედიატორობის საფუძველზე მიღწეული ექვსპუნქტიანი ხელშეკრულება და ამ შეთანხმების იმპლემენტაციის უზრუნველყოფის მიზნით 2008 წლის 8 სექტემბერს დადებული დამატებითი ხელშეკრულება სტაბილიზაციის პროცესის საფუძველს წარმოადგენს.

(4) 2008 წლის 1 სექტემბერს ევროპულმა საბჭომ ასევე მიუთითა, რომ 2003 წლის დეკემბერში სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნა კიდევ ერთი ნაბიჯი იყო საქართველოსთან და რეგიონის კიდევ ორ ქვეყანასთან (სომხეთი და აზერბაიჯანი) ურთიერთობების გაღრმავებისკენ. ამასთანავე, საქართველოში კრიზისთან დაკავშირებით, ევროპულმა საბჭომ ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნა გადაწყვიტა.

(5) 2008 წლის 2 სექტემბერს საქართველოში განთავსდა საგანგებო მისია და მან მუშაობა დაიწყო შესაბამისი ინფორმაციის შეგროვებითა და ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის შესაძლო სამოქალაქო მისიის მომზადებით. მან სრულად უნდა გაითვალისწინოს საქართველოში უკვე არსებული ეუთოსა და გაეროს მისიების მანდატი და იმოქმედოს, როგორც ამ მისიათა გამამდიერებელმა კომპონენტმა.

(6) 2008 წლის 3 სექტემბერს საბჭომ დაამტკიცა მოსამზადებელი ღონისძიებები საქართველოში ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის მისიის საქართველოში შესაძლო დაფუძნების შესახებ.

(7) 2008 წლის 11 სექტემბრით დათარიღებული წერილით საქართველოს მთავრობამ ევროკავშირის სთხოვა საქართველოში ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის სამოქალაქო მისიის დაფუძნება.

(8) მისიაში ნებისმიერი მესამე სახელმწიფოს მონაწილეობა უნდა შეესაბამებოდეს ევროპული საბჭოს მიერ დადგენილ ზოგად მითითებებს.

(9) მისიის სამეთაურო და საკონტროლო სტრუქტურა, კომისიის წინაშე საკონტრაქტო ვალდებულებების დარღვევის გარეშე, პასუხისმგებელია მისიის ბიუჯეტის შესრულებაზე.

(10) ამ მისიისთვის უნდა გააქტიურდეს გენერალურ სამდივნოში დაფუძნებული სამეთვალყურეო მექანიზმი (ჭატკჰ-კეეპინგ ჩაპაბილიტყ).

(11) ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის სამოქალაქო მისიის საქმიანობა განხორციელდება ისეთ სიტუაციებთან მიმართებით, რომლებმაც შესაძლოა გააუარესოს ან ზიანი მიაყენოს საგარეო და უსაფრთხოების საერთო პოლიტიკის ამოცანებს, როგორც ეს ხელშეკრულების მე-11 პუნქტშია ჩამოყალიბებული.

მიიღო ეს ერთობლივი მოქმედება:

მუხლი 1

მისია

1. ევროპის კავშირი აფუძნებს საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიას, შემდგომში 'EUMM Georgia'. ევროკავშირის მისია საქართველოში განთავსდება ეტაპობრივად, რომელიც დაიწყება

2008 წლის სექტემბრიდან, ხოლო ოპერაციული ფაზა დაიწყო არა უგვიანეს 2008 წლის 1 ოქტომბრისა.

2. საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისია მოქმედებს მისიის განაცხადის შესაბამისად, როგორც ეს მე-2 მუხლშია ჩამოყალიბებული და ახორციელებს მე-3 მუხლით დადგენილ ამოცანებს.

მუხლი 2

მისიის განაცხადი

1. ევროკავშირის მონიტორინგის მისია ახორციელებს სამოქალაქო მონიტორინგს მხარეთა მოქმედებებზე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ექვსპუნქტიანი შეთანხმების შესრულებისა და შემდგომი იმპლემენტაციის ჩათვლით, პარტნიორებთან მჭიდრო კოორდინაციით, განსაკუთრებით გაეროსთან და ეუთოსთან, და ევროკავშირის სხვა ღონისძიებების შესაბამისად, რითაც წვლილი შეაქვს სიტუაციის სტაბილიზებაში, ნორმალიზებაში და ნდობის აღდგენის პროცესში; იმავდროულად ავრცელებს ინფორმაციას საქართველოში მდგრადი პოლიტიკური დარეგულირების პროცესში ევროპული პოლიტიკის შესახებ.

2. მისიის კონკრეტული ამოცანებია: (ა) ხანგრძლივი სტაბილურობის ხელშეწყობა მთელ საქართველოში და მომიჯნავე რეგიონში; (ბ) მოკლევადიან პერსპექტივაში – სიტუაციის სტაბილიზება, დაპირისპირების განახლების რისკის შემცირებით, ექვსპუნქტიან შეთანხმებასთან და შემდგომი იმპლემენტაციის ღონისძიებებთან სრული შესაბამისობით.

მუხლი 3

მისიის ამოცანები

მისიის წარმატებული განხორციელებისთვის ევროკავშირის მონიტორინგის მისიას ეკისრება შემდეგი ამოცანები:

1. სტაბილიზაცია:

მონიტორინგი, ანალიზი და მოხსენების წარდგენა სტაბილიზაციის პროცესის შესახებ, ექვსპუნქტიანი შეთანხმების დაცვაზე სრული ორიენტირებით, ჯარების გაყვანის ჩათვლით; ასევე გადაადგილების თავისუფლებისა და მაროდორობა მოქმედებების, ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევის შესახებ.

2. ნორმალიზება:

მონიტორინგი, ანალიზი და მოხსენების წარდგენა სამოქალაქო მმართველობის სტაბილიზაციის პროცესის შესახებ, სამართლის უზენაესობაზე, ეფექტიან სამართალდამცავ სტრუქტურებსა და ადეკვატურ საზოგადოებრივ წესრიგზე ორიენტირებით. მისია ასევე განახორციელებს სატრანსპორტო კვანძების, ენერგეტიკული ინფრასტრუქტურისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობის, ასევე ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების პოლიტიკური და უსაფრთხოების ასპექტების მონიტორინგს.

3. ნდობის აღდგენა:

ხელს უწყობს დამაბულობის შესუსტებას მხარეებს შორის შუამავლობისა და კონტაქტების ხელშეწყობის, ასევე ნდობის აღდგენის სხვა ზომების მეშვეობით.

4. მონაწილეობს ევროპული პოლიტიკისა და ევროკავშირის სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში.

მუხლი 4

მისიის სტრუქტურა

1. ევროკავშირის მონიტორინგის მისიის სტრუქტურა შემდეგია: (ა) შტაბი. შტაბი მოიცავს მისიის ხელმძღვანელის ოფისს და შტაბის პერსონალს, რომელიც უზრუნველყოფს მეთაურთა ყველა საჭირო ფუნქციებს და მისიის კონტროლსა და მხარდაჭერას. შტაბი განთავსდება თბილისში.

(ბ) სავლე ოფისები. გეოგრაფიულად განაწილებული სავლე ოფისები ახორციელებს მონიტორინგის ამოცანას და უზრუნველყოფს მისიის მხარდაჭერისთვის საჭირო ფუნქციებს.

(გ) მხარდაჭერის ელემენტი. მხარდაჭერის ელემენტი განთავსდება ბრიუსელში, გენერალური სამდივნოს ფარგლებში.

2. საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის შემადგენლობაში წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ წინასწარი აღჭურვის კომპონენტების მონიტორინგის ჯგუფებს, როგორც საწყის შესაძლებლობას.

3. ზემოაღნიშნული ელემენტები შემდგომში დეტალურად უნდა აისახოს ოპერატიულ გეგმაში (OPLAN).

მუხლი 5

სამოქალაქო ოპერაციათა მეთაური

1. სამოქალაქო დაგეგმვისა და მოქმედების (CPCC) დირექტორი არის საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის სამოქალაქო ოპერაციათა მეთაური.

2. სამოქალაქო ოპერაციათა მეთაური, პოლიტიკური და უსაფრთხოების საკითხთა კომიტეტისა და გენერალური სამდივნოს/უმადღესი წარმომადგენლის პოლიტიკური კონტროლითა და სტრატეგიული ხელმძღვანელობით, არის საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის მეთაური სტრატეგიულ დონეზე, და იგი, მისიის ხელმძღვანელისთვის, გამოსცემს მითითებებს და უზრუნველყოფს მას კონსულტაციითა და ტექნიკური დახმარებით.

3. სამოქალაქო ოპერაციათა მეთაური უზრუნველყოფს საბჭოს და პოლიტიკური და უსაფრთხოების საკითხთა კომიტეტის დადგენილებათა განხორციელებას, სტრატეგიულ დონეზე ინსტრუქციების გაცემის ჩათვლით, ასევე კონსულტაციური და ტექნიკური ხასიათის დახმარებას უწევს მისიის ხელმძღვანელს.

4. მივლინებით გაგზავნილი ყველა თანამშრომელი რჩება წარმგზავნი სახელმწიფოს ან ევროკავშირის შესაბამისი ინსტიტუტის სრული მეთაურობის ქვეშ. ეროვნული ხელისუფლება მისი პერსონალის, ჯგუფებისა და დანაყოფების ოპერატიულ კონტროლს გადასცემს სამოქალაქო ოპერაციათა მეთაურს.

5. სამოქალაქო ოპერაციათა მეთაურს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება ევროკავშირის მოვალეობათა ჯეროვან განხორციელებაზე.

6. სამოქალაქო ოპერაციათა მეთაური და ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი, საჭიროების შემთხვევაში, ერთმანეთთან კონსულტაციებს გადაიან.

მუხლი 6

მისიის ხელმძღვანელი

1. მისიის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია განახორციელოს მისიის მეთაურობა და კონტროლი მოქმედებათა ადგილზე.

2. მისიის ხელმძღვანელი, სამოქალაქო ოპერაციათა მეთაურისაგან მიღებული დავალებების შესაბამისად, ახორციელებს პერსონალის, ჯგუფების და წარმომგზავნი სახელმწიფოს დანაყოფების ხელმძღვანელობასა და კონტროლს, ასევე ადმინისტრაციულ და ლოგისტიკურ პასუხისმგებლობას მისიის კუთვნილ ქონებაზე, რესურსებსა და ინფორმაციაზე.

3. მისიის ხელმძღვანელი გამოსცემს ინსტრუქციებს მისიის ყველა თანამშრომლისთვის, ბრიუსელში დაფუძნებული დამხმარე ელემენტის ჩათვლით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის ეფექტიანი მოქმედება დისლოკაციის ადგილზე; მისიის ხელმძღვანელი ახორციელებს კოორდინაციასა და ყოველდღიურ მენეჯმენტს სამოქალაქო ოპერაციათა მეთაურის სტრატეგიული მითითებების შესაბამისად.

4. მისიის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია მისიის ბიუჯეტის განხორციელებაზე. ამ მიზნით მისიის ხელმძღვანელი ხელს აწერს კონტრაქტს კომისიასთან.

5. მისიის ხელმძღვანელი ახორციელებს დისციპლინურ კონტროლს პერსონალზე. მივლინებული თანამშრომლებისთვის დისციპლინური ქმედება ხორციელდება ეროვნული ხელმძღვანელობის ან ევროკავშირის შესაბამისი ორგანოს მიერ.

6. მისიის ხელმძღვანელი წარმოადგენს საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიას ოპერატიული მოქმედების ტერიტორიაზე და უზრუნველყოფს მისიის სათანადო წარმოჩენას.

7. მისიის ხელმძღვანელი, სათანადო შემთხვევაში, უზრუნველყოფს ადგილზე კოორდინაციას ევროკავშირის სხვა სუბიექტებთან ერთად. მისიის ხელმძღვანელი, სამეთაურო იერარქიისთვის ზიანის მიყენების გარეშე, ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლისგან დებულობს ადგილობრივი პოლიტიკური ხასიათის სახელმძღვანელო მიმართულებებს.

8. მისიის ხელმძღვანელი ადგენს მისიის ოპერატიულ გეგმას, რომელსაც დასამტკიცებლად წარუდგენს საბჭოს. მისიის ხელმძღვანელს ამ ამოცანის შესრულებაში დახმარებას უწევს საბჭოს გენერალური სამდივნო.

მუხლი 7

პერსონალი

1. საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისია ძირითადად შედგება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან ან ევროკავშირის ინსტიტუტებიდან მივლინებული თანამშრომლებისგან. თითოეული წევრი სახელმწიფო ან ევროკავშირის ინსტიტუტი ანაზღაურებს მის მიერ წარგზავნილ თანამშრომელთან დაკავშირებულ ხარჯებს, დანიშნულების ადგილზე მგზავრობის, ხელფასის, სამედიცინო დაზღვევის, დღიური ანაზღაურებისგან განსხვავებული დამატების, ასევე სირთულისა და რისკის ანაზღაურების ჩათვლით.

2. საერთაშორისო სამოქალაქო პერსონალის და ადგილობრივი პერსონალის დაქირავება ხდება მისიის მიერ, კონტრაქტის საფუძველზე, თუკი მოცემული ფუნქციის შესასრულებლად წევრი სახელმწიფოების მიერ არავინაა მივლინებული. გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც ეს სათანადოდაა დასაბუთებული და როდესაც წევრი სახელმწიფოებიდან მიღებული არ არის დამაკმაყოფილებელი განაცხადები, დასაშვებია მონაწილე მესამე სახელმწიფოების მოქალაქეთა დაქირავება კონტრაქტის საფუძველზე.

3. ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას მისიის სპეციფიკიდან გამომდინარე უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტები და მისიის უსაფრთხოების გეგმა, რომელიც განამტკიცებს ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკას მოქმედების ადგილზე. ევროკავშირის დასაიდუმლოებული ინფორმაციის დაცვა, რომელიც თანამშრომლებისთვის ცნობილი გახდა მათი მოვალეობის შესრულებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ყველა თანამშრომლის მიერ, უსაფრთხოების პრინციპებისა და მინიმალური სტანდარტების გათვალისწინებით, რომლებიც საბჭოს უსაფრთხოების დებულებითაა დადგენილი.

მუხლი 8

მისიის და პერსონალის სტატუსი

1. მისიის და მისი პერსონალის სტატუსი - სათანადო შემთხვევებში პრივილეგიების, იმუნიტეტებისა და მისიის დაუბრკოლებელი საქმიანობისთვის აუცილებელი სხვა გარანტიების ჩათვლით - უნდა ჩამოყალიბდეს ხელშეკრულების 24-ე მუხლით დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გენერალურ მდივანს/უმადლეს წარმომადგენელს, რომელიც დახმარებას უწევს თავმჯდომარეს, შეუძლია ასეთი ხელშეკრულებების შესახებ მოლაპარაკებები აწარმოოს თავმჯდომარის სახელით.

2. სახელმწიფო ან ევროკავშირის ინსტიტუტი, რომელსაც თანამშრომელი ჰყავს მივლინებული, პასუხს აძლევს მივლინებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საჩივარზე, იქნება ეს თვით თანამშრომლის მიერ წარდგენილი საჩივარი თუ საჩივარი თანამშრომლის წინააღმდეგ. სახელმწიფო ან შესაბამისი ევროკავშირის ინსტიტუტი პასუხისმგებელია მივლინებული პირის მიმართ ნებისმიერი სარჩელის დაწყებაზე.

3. საერთაშორისო და ადგილობრივი სამოქალაქო პერსონალის შრომის პირობები და მათი უფლებები და ვალდებულებები განისაზღვრება მისიის ხელმძღვანელსა და თანამშრომელს შორის დადებულ კონტრაქტში.

მუხლი 9

სამეთაურო იერარქია

1. საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისია ექვემდებარება ერთიან სამეთაურო იერარქიას, როგორც კრიზისის მენეჯმენტის ოპერაციას.

2. საბჭოს პასუხისმგებლობით, პოლიტიკური და უსაფრთხოების საკითხთა კომიტეტი, ახორციელებს საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის პოლიტიკურ კონტროლსა და სტრატეგიულ ხელმძღვანელობას.

3. სამოქალაქო ოპერაციათა მეთაური, პოლიტიკური და უსაფრთხოების საკითხთა კომიტეტისა და გენერალური სამდივნოს/უმაღლესი წარმომადგენლის პოლიტიკური კონტროლითა და სტრატეგიული ხელმძღვანელობით, არის საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის მეთაური სტრატეგიულ დონეზე, და იგი, მისიის ხელმძღვანელისთვის, გამოსცემს მითითებებს და უზრუნველყოფს მას კონსულტაციითა და ტექნიკური დახმარებით.

4. სამოქალაქო ოპერაციათა მეთაური მოხსენებას წარუდგენს საბჭოს გენერალური მდივნის/უმაღლესი წარმომადგენლის მეშვეობით.

5. მისიის ხელმძღვანელი ახორციელებს საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის მართვას და კონტროლს ადგილზე და პირდაპირ არის ანგარიშვალდებული სამოქალაქო ოპერაციათა მეთაურის წინაშე.

მუხლი 10

პოლიტიკური კონტროლი და სტრატეგიული მიმართულება

1. პოლიტიკური და უსაფრთხოების საკითხთა კომიტეტი, საბჭოს პასუხისმგებლობით, ახორციელებს მისიის პოლიტიკურ კონტროლსა და სტრატეგიულ ხელმძღვანელობას. საბჭო პოლიტიკური და უსაფრთხოების საკითხთა კომიტეტს უფლებამოსილებას ანიჭებს მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები ხელშეკრულების 25-ე მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად. ეს უფლებამოსილება მოიცავს მისიის ხელმძღვანელის დანიშვნის უფლებას, გენერალური მდივნის/უმაღლესი წარმომადგენლის შეთავაზებით, და ოპერატიული კონცეფციის (CONOPS) და ოპერატიული გეგმის (OPLAN) შეცვლის უფლებას.; მისიის ამოცანებისა და მისი შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება საბჭოს ენიჭება.

2. პოლიტიკური და უსაფრთხოების საკითხთა კომიტეტი საბჭოს წარუდგენს მოხსენებებს დროის რეგულარულ ინტერვალში.

3. პოლიტიკური და უსაფრთხოების საკითხთა კომიტეტი, რეგულარულად და მოთხოვნის შესაბამისად, მოხსენებებს წარუდგენს სამოქალაქო ოპერაციათა მეთაურს და მისიის ხელმძღვანელს მისი პასუხისმგებლობის სფეროში შემავალ საკითხებზე.

მუხლი 11

მესამე სახელმწიფოთა მონაწილეობა

1. გადაწყვეტილებების მიღებაში ევროკავშირის დამოუკიდებლობისათვის ზიანის მიყენების გარეშე და მის ერთიან ინსტიტუციურ სქემაში, მესამე სახელმწიფოები შეიძლება მიწვეულ იქნენ მისიაში მონაწილეობის მისაღებად, იმ პირობით, რომ ისინი გასწევენ მათ მიერ მივლინებული პერსონალის ყველა ხარჯს, ხელფასების, რისკის დაზღვევის, დღიურისა და საქართველოში ჩასვლისა და იქედან გამომგზავრების ხარჯებს, და ისინი წვილილს შეიტანენ მისიის ყოველდღიური საქმიანობის ფინანსირებაში, სათანადო შემთხვევაში.

2. მისიაში მონაწილე მესამე სახელმწიფოებს იგივე უფლებები და მოვალეობები აქვთ მისიის ყოველდღიური მენეჯმენტის თვალსაზრისით, როგორც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს.

3. საბჭო უფლებამოსილებას ანიჭებს პოლიტიკური და უსაფრთხოების საკითხთა კომიტეტს მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები შემოთავაზებული მონაწილეობის მიღების თაობაზე და დააფუძნოს მონაწილეთა (კონტრიბუტორთა) კომიტეტი.

4. მესამე სახელმწიფოთა მონაწილეობის დეტალური სქემა განისაზღვრება ხელშეკრულების 24-ე მუხლის შესაბამისად დადებულ ხელშეკრულებაში. გენერალურ მდივანს/უმაღლესი წარმომადგენელს, რომელიც დახმარებას უწევს თავმჯდომარეს, შეუძლია ასეთი ხელშეკრულებების შესახებ მოლაპარაკებები აწარმოოს თავმჯდომარის სახელით.

როდესაც ევროკავშირი და მესამე სახელმწიფო ევროკავშირის კრიზისის მენეჯმენტის ოპერაციებში მონაწილეობის სქემის განმსაზღვრელ ხელშეკრულებას აფორმებენ, ამ ხელშეკრულების დებულებები ვრცელდება მისიაზე.

მუხლი 12

უსაფრთხოება

1. სამოქალაქო ოპერაციათა მეთაური წარმართავს მისიის ხელმძღვანელის მიერ უსაფრთხოების ზომების დაგეგმვას და უზრუნველყოფს საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის მიერ მის ჯეროვან განხორციელებას მე-5 და მე-9 მუხლების შესაბამისად, საბჭოს უსაფრთხოების ოფისთან კოორდინაციით.

2. მისიის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია მისიის უსაფრთხოებაზე და მისიის მიმართ უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, ევროკავშირის გარეთ პერსონალის დისლოცირების შესახებ ევროკავშირის პოლიტიკის შესაბამისად, ხელშეკრულების V კარის და მისი მხარდამჭერი დოკუმენტების შესაბამისად.

3. მისიის ხელმძღვანელს დახმარებას უწევს მისიის უსაფრთხოების ოფიცერი, რომელიც მისიის ხელმძღვანელს წარუდგენს მოხსენებებს და ასევე მჭიდრო ფუნქციური ურთიერთობა აქვს საბჭოს უსაფრთხოების ოფისთან.

4. საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის პერსონალი, მოვალეობის შესრულების დაწყებამდე, სავალდებულო ტრენინგს გადის უსაფრთხოების საკითხებზე, ოპერატიული გეგმის შესაბამისად. მათ ასევე უნდა ჩაუტარდეთ რეგულარული ტრენინგი ადგილზე, რომელსაც ორგანიზაციას უწევს მისიის უსაფრთხოების ოფიცერი.

5. მისიის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს ევროკავშირის დასაიდუმლოებული ინფორმაციის დაცვას, საბჭოს უსაფრთხოების დებულების შესაბამისად.

მუხლი 13

საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიას ენიჭება მეთვალყურეობის განხორციელების უფლება.

მუხლი 14

ფინანსური უზრუნველყოფა

1. მისიის ხარჯებთან დაკავშირებული ფინანსური უზრუნველყოფა განისაზღვრება 31 000 000 ევროს ოდენობით.

2. თანხების განკარგვა ხდება ევროპული თანამეგობრობის საერთო ბიუჯეტის შესაბამისი პროცედურებისა და წესების დაცვით. მოწყობილობების, მომსახურებისა და შენობა-ნაგებობების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხები მისიის ხელმძღვანელს შეუძლია შეათანხმოს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან, მონაწილე მესამე სახელმწიფოებთან და სხვა საერთაშორისო სუბიექტებთან, რაც ექვემდებარება საბჭოს დამტკიცებას. მესამე სახელმწიფოთა მოქალაქეებს ტენდერში მონაწილეობის უფლება აქვთ.

3. მისიის ხელმძღვანელი სრულ ანგარიშს წარუდგენს კომისიას მისი კონტრაქტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შესახებ და მას ზედამხედველობას უწევს კომისიას.

4. ფინანსური უზრუნველყოფა უნდა ითვალისწინებდეს მისიის ოპერაციულ მოთხოვნებს, მოწყობილობების თავსებადობისა და მისი ჯგუფების ურთიერთშეთანხმებული საქმიანობის ჩათვლით.

5. მისიასთან დაკავშირებული ხარჯები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ამ ერთობლივი მოქმედების ძალაში შესვლისთანავე.

მუხლი 15

კოორდინაცია

1. სამეთაურო იერარქიის დარღვევის გარეშე, მისიის ხელმძღვანელი მოქმედებს კომისიის დელეგაციასთან მჭიდრო კონტაქტში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ევროკავშირის მიერ საქართველოს მხარდასაჭერად გამიზნული ღონისძიებები.

2. მისიის ხელმძღვანელი მჭიდრო კოორდინაციაშია ადგილზე ევროკავშირის თავმჯდომარის წარმომადგენლობასთან და ევროკავშირის სხვა მისიების ხელმძღვანელებთან.

3. მისიების ხელმძღვანელები თანამშრომლობენ ქვეყანაში წარმოდგენილ სხვა საერთაშორისო სუბიექტებთან, განსაკუთრებით გაეროსთან და ეუთოსთან.

მუხლი 16

დასაიდუმლოებული ინფორმაციის გამოქვეყნება

1. გენერალური მდივანი/უმაღლესი წარმომადგენელი უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში და მისიის მოთხოვნების შესაბამისად, ამ ერთობლივ მოქმედებაში ჩართულ მესამე სახელმწიფოებს გააცნოს ევროკავშირის დასაიდუმლოებული ინფორმაცია და დოკუმენტები, თვით 'CONFIDENTIEL UE' დონისაგ, რომლებიც მისიის მიზნებს ემსახურება, საბჭოს უსაფრთხოების დებულების შესაბამისად.

2. გენერალური მდივანი/უმაღლესი წარმომადგენელი ასევე უფლებამოსილია გაეროს და ეუთოს გააცნოს ევროკავშირის დასაიდუმლოებული ინფორმაცია და დოკუმენტები, თვით 'CONFIDENTIEL UE' დონისაგ, რომლებიც მისიის მიზნებს ემსახურება, საბჭოს უსაფრთხოების დებულების შესაბამისად. ამ მიზნით უნდა შეიქმნას ადგილობრივი წესი.

3. კონკრეტული და გადაუდებელი ოპერატიული საჭიროების შემთხვევაში გენერალური მდივანი/უმაღლესი წარმომადგენელი ასევე უფლებამოსილია მიმღებ სახელმწიფოს გააცნოს ევროკავშირის ნებისმიერი დასაიდუმლოებული ინფორმაცია და დოკუმენტი, თვით 'CONFIDENTIEL UE' დონისაგ, რომლებიც მისიის მიზნებს ემსახურება, საბჭოს უსაფრთხოების დებულების შესაბამისად. ყველა სხვა შემთხვევაში ასეთი ინფორმაცია და დოკუმენტები მიმღებ სახელმწიფოს გაეცნობა მიმღებ სახელმწიფოსთან ევროკავშირის თანამშრომლობის შესაბამისი პროცედურების საფუძველზე.

4. გენერალური მდივანი/უმაღლესი წარმომადგენელი უფლებამოსილია ამ ერთობლივ მოქმედებასან დაკავშირებულ მესამე სახელმწიფოებს გააცნოს ევროკავშირის ნებისმიერი არასაიდუმლო დოკუმენტი, რომელიც ეხება საბჭოს მოსაზრებებს მისიასთან დაკავშირებით და ექვემდებარება პროფესიული საიდუმლოს ვალდებულებას საბჭოს დებულების მე-6 (1) მუხლის შესაბამისად.

მუხლი 17

მისიის გადასინჯვა

მისიის გადასინჯვის შესახებ დასკვნები პოლიტიკური და უსაფრთხოების საქმეთა კომიტეტს წარედგინება ყოველ ექვს თვეში, მისიის დაწყების დღიდან, მისიის ხელმძღვანელისა და საბჭოს გენერალური მდივნის მოხსენების საფუძველზე.

მუხლი 18

ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

ეს ერთობლივი მოქმედება ძალაში შედის მიღებისთანავე და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 12 თვით.

მუხლი 19

გამოქვეყნება

1. ეს ერთობლივი მოქმედება გამოქვეყნდეს ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში.
2. პოლიტიკური და უსაფრთხოების საქმეთა კომიტეტის დადგენილებები, რომლებიც მისიის დანიშვნას ეხება, ასევე უნდა გამოქვეყნდეს ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში.

მიღებულია ბრიუსელში, 2008 წლის 15 სექტემბერს

საბჭოს სახელით

თავმჯდომარე **ბ. კუშნერი**

<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2008:248:0026:0031:EN:PDF/საკუთარი>

თარგმანი)